

ბატონი პაპარიძის კომიტეტი პოსტიდან გადადგა

2007 წლის 12 ოქტომბერი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის
პრეზიდენტს, ბატონს შაკ რობს


ბატონო პრეზიდენტო, ვადასტურებ ჩემს ღრმა პატივისცემას თქვენს მიმართ და მადლობას მოგახსენებ ჩემს სახელზე ამა წლის 11 ოქტომბერს გამოგზავნილი წერილისთვის. მადლიერი ვარ თქვენი პრინციპული პოზიციის დაფიქსირებისთვის, რომელიც ეხება ოლიმპიური ქართის, საკუთარი წესდების მიერ დადგენილი ნორმების განუხრელი დაცვის აუცილებლობას. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი პასუხი დაეხმარება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, მომავალში თავიდან აიცილოს ანალოგიური შეცდომები. დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ სეოკ-ის საქმიანობა ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობაში უნდა მიმდინარეობდეს. ამავედროულად, ჩემი გულწრფელი და ღია პოზიცია საქართველოს უკეთესი ხვალისდელი დღის პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით, სულ უფრო და უფრო სცილდება მოქმედი ხელისუფლების პოზიციებს. შექმნილ ვითარებაში, შეუძლებლად მიმაჩნია განვაგრძო სეოკ-ის ხელმძღვანელობა, რის გამოც მივიღე გადაწყვეტილება, გადავდგე თანამდებობიდან. მადლობას გიხდით იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც პირადად თქვენ და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი გამოხატავდით ქართველი სპორტსმენების, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და პირადად ჩემ მიმართ.

პატივისცემით,
სეოკ-ის პრეზიდენტი ა. პატარკაციშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრებს

ქალბატონებო და ბატონებო!
2004 წლის 17 დეკემბერს თქვენ ერთხმად ამირჩიეთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად. სამი წლის განმავლობაში თითოეული ჩვენგანი არაფერს იშურებდა, რათა ხელი შეგვეწყო ჩვენი სპორტსმენებისთვის უმაღლესი შედეგების მიღწევაში და საქართველო მსოფლიოს წინაშე ღირსეულად წარმოგვეჩინა. ამა წლის 9 ოქტომბერს, სეოკ-ის წევრთა ნაწილმა არაღებულად მიიღო თქვენი გადაწყვეტილება ჩაატარა და კენჭი უყარა თანამდებობიდან ჩემი გადაყენების საკითხს. ამასთან დაკავშირებით, მე მივმართე საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (სოკ-ი), რათა ამ ავტორიტეტული მსოფლიო ორგანიზაციის მეშვეობით, განმეგრძა ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის წევრებისთვის, მათი მაღალი პოლიტიკური მფარველებისთვის, რომ არავისთვის არ არის დაშვებული ოლიმპიური ქართის, საკუთარი წესდების მოთხოვნათა დარღვევა. სოკ-ის მიერ, ჩემი, როგორც საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მისამართით გამოგზავნილ პასუხში ცალსახადაა დადასტურებული შემდგარი კრების არაღებულად მიიღო თქვენი გადაწყვეტილება, რომ ამაჲს იქით, არც თქვენ და არც თქვენი შემცველები არ დაარღვევთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ დადგენილ წესებს. ჩემი გულწრფელი და ღია პოზიცია საქართველოს უკეთესი ხვალისდელი დღის პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით, სულ უფრო და უფრო სცილდება მოქმედი ხელისუფლების პოზიციებს. მშვენივრად მესმის, რომ ჩვენი სპორტსმენების წარმატებები მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ხელისუფლების მხარდაჭერასთან და ამიტომაც, სეოკ-ის საქმიანობა ხელისუფლებასთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობაში უნდა მიმდინარეობდეს. მიმაჩნია, რომ შექმნილ ვითარებაში შეუძლებელია, განვაგრძო სეოკ-ის ხელმძღვანელობა და მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო თანამდებობა. მადლობას გიხდით ერთობლივად ჩატარებული სამუშაოსა და იმ მაღალი ნდობისთვის, რომელიც აღმომიჩინეთ ამ წლების განმავლობაში. კვლავაც მივალთ ქართველი სპორტსმენების გვერდით!

პრეზიდენტი ა. პატარკაციშვილი



ნუსა ნუსაშვილი ერთი პუნქტი დასული არ იყო

ინტერვიუ
ეზარ ჯანაიშვილთან 10

რასა ვართ, ესა ვართ



იტალიური პრესა: ცქიტვილი იყო ერთადერთი ძარტველი, რომელიც თამაშის გამწვავებას ცდილობდა... ზუფონს კი შეიქლო, გავზვი ეკეთებინა

მატჩის
ირგვლივ
2-3

IRB RUGBY WORLD CUP 2007
FRANCE

**ინგლისი
ან აფრიკა**
III ადგილისთვის
19 ოქტომბერი, 23:00
საზრანგეთი-არგენტინა
ფინალი
20 ოქტომბერი, 23:00
ინგლისი-სამხრეთი აფრიკა



საზრანგეთი-ინგლისი 9:14. ჯონი ვილკინსონის გადამტევეტი საჯარიმი



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინათ კომპანია ყაზბეგი



www.pfl.ge

23 სექტემბერი 2008. შინაარსი მატჩი. B ჯგუფი

რასა ვართ, ესა ვართ



სანყის ნუთებში ქართველები კარგად გამოიყურებოდნენ. პირველად კარში სწორედ ჩვენებმა დაარტყეს. ორი ზიფათისმაგვარი მომენტიც კი შექმნეს, რაც "სკუადრა ატურისთვის" გამოსაფხიზლებლად საკმარისი აღმოჩნდა. იტალიელებმა ჯერ თამაში გაათანაბრეს, მალევე მატჩის სადავეები აიღეს და შემოგვიტყეს. იტალიელებმა არაერთხელ დაარტყეს ქართველთა კარის მიმართულებით. ზოგ ეპიზოდში მასპინძლებს უმტყუნა მიზანმა, ხან

ლომაიამ და მცველებმა იმარჯვეს. ხიზანიშვილი და ასათიანი, უფრო კი ეს უკანასკნელი, ლუკა ტონის საიმედოდ ეთამაშებოდნენ. ლომიაიმაც ერთ-ორჯერ კარგი ბურთი აიღო, მაგრამ ანდრეა პირლოს გოლისას კი შეცდა. ჩვენს ბურთის ამოტანა და შეტყევის დაწყება კაპიტან ლევან ციტიშვილს ევალებოდა და სანამ შეეძლო, მოვალეობას თავი გაართვა. საერთო ჯამში ნახევარდაცვა ყველაზე უკეთ გამოიყურებოდა, დაცვას შეცდომები ჰქონდა,

თავდამსხმელებთან კი ბურთი იშვიათად მიდიოდა და თუ მიდიოდა, შეტყევა მასპინძელთა საჯარო მისადაგომებთან ჩერდებოდა. მეორე ტაიმში კლას ტომპილერმა სირაძისა და ყენიას გამოყვანით სცადა ვითარების შეცვლა უკეთესობისკენ. შაშიაშვილის გასვლის შემდეგ, მარცხენა მცველის ადგილი კვირკველიამ დაიკავა. ამ შეცვლამ ქართველები ცოტა კი გამოაცოცხლა, მაგრამ იტალიელები იმდენად საიმედოდ თამაშობდნენ ბუფონის კართან ხიფათი არ შექმნილა. მასპინძელთაგან ყველაზე მეტად ტონი, დი ნატალე, კვალიარელა და გროსო აქტიურდებოდნენ. ამ უკანასკნელმა მატჩის დასრულებამდე ნუთით ადრე საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

გროსოს გოლისას იტალიელებმა ამოიხუნტეს, ეს პრესლოჟაშიც იგრძნობოდა. იქაურმა ურნალისტებმა მითხრეს – მორჩა, ეს თამაში მოგებულა, ახლა მთავარია შოტლანდია გლაზგოში დავამარცხოთ, თუმცა იქნებ მანამდე შეძლოთ და შოტლანდიელებს თბილისში ქულები დავაკარგინოთო. იტალიელების თხოვნისა რა გითხრათ, მაგრამ ჩვენს ნაკრებს ქულათა მარაგის გაზრდა ნამდვილად ესაჭიროება. მხოლოდ ფარერების ძლიერება და უკრაინასთან საშინაო ფრით მოპოვებულ ქულებს ხომ არ უნდა დავეყრდეთ?

იტალია-საქართველო
2:0
13.10.07 გენუა. ლუიჯი ფარარისი
23 000 მაყურებელი

1:0 პირლო (44), გროსო (84 . ტონის პასით)
იტალია: ბუფონი, ოდო, პანუჩი, ბარძალი, გროსო, პირლო, გატუზო, ამბროზინი (88. მაური), კვალიარელა (72. ფოჯა), დი ნატალე, ტონი.
საქართველო: ლომია - სალუქვაძე, ხიზანიშვილი, ასათიანი, შამიაშვილი (61. ყენია), კვირკველია, ციტიშვილი, მენთეშაშვილი, კანკავა, მჭედლიძე (61. სირაძე), დემეტრაძე (85. ჯაკობია).
საქართველო: მაკარიძე, კანდელაკი, ტატანაშვილი, კვახაძე.
ბაზრისილია: დემეტრაძე (41), ოდო (68), კვირკველია (79)
ბრძოლში: კ. მებია დავილია (ესპანეთი).

მაგნიტი

სტადიონზე 150-მდე ქართველმა მოიყარა თავი. ნაწილი საქართველოდან იყო ჩასული ნაკრების საქომად, ნაწილიც იტალიიდან თუ სხვა ქვეყნიდან. ნაშუადღევს თემურ ქეცბაია და ლევან კობიაშვილიც გამოჩნდნენ. ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე ჩამოვიდა მილანიდან. დრეზდენიდან ათამდე გერმანელი ჩამოფრინდა გენუაში ქართველთა საქომად, რაღვ მინგეს მეგობრები ყოფილან. საყვირებით "შეიარაღებული" ქართველები და გერმანელები ერთ სექტორში ისხდნენ. ნაკრებმა ორსაათნახევრით ადრე დატოვა სასტუმრო და "ლუიჯი ფარარისისკენ" აიღო გეზი. სტადიონის გარშემო იტალიის ეროვნული დროშები, ნაკრების მაისურები, შარფები, საყვირები და ტიფოზებისთვის განკუთვნილი სხვა "აღჭურვილობა" იყიდებოდა. თამაშამდე 30 წუთით ადრე გუნდები მოთელვაზე გამოვიდნენ. პრესლოჟაში მჯდომი ურნალისტებისგან თავაზიანობასა და პატივისცემას კი ვგრძნობდი, მაგრამ საუბარში, როგორც კი მატჩის საბოლოო შედეგზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, მხოლოდ ერთი პასუხი ჰქონდათ – 3 ქულა ჩვენია.

მაგი

თამაში ქართველებმა დაიწყეს. მოედნის ცენტრში დემეტრაძემ და მჭედლიძემ გაითამაშეს ბურთი.



სტუმრები უფრო საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ, კარს შეტევაზე. თუმცა ბუფონის ბევრი საქმე რომ არ ჰქონდა, ეს ჩვენი ფეხბურთელების დამსახურებაა.
- ქართველთა გუნდიდან ვის გამოარჩევდით?
- კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მეტოქეს კალაძე და კობიაშვილი არ ჰყავდა, თორემ მოგება უფრო გაგვიჭირდებოდა. მეტოქის ნაკრებიდან №7-სა (ციტიშვილი) და №77-ს (ყენია) გამოვარჩევდი. კიდევ 2-3 ფეხბურთელი იყო, მაგრამ მათი გვარები არ ვიცი, ნომრებს კი ვეღარ ვიხსენებ.
- როგორ ფიქრობთ, ამ თამაშით შეძლებს საქართველოს ნაკრები თბილისში შოტლანდიას ქულები დააკარგინოს?
- საქართველომ დღეს კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ვფიქრობ, ეს გუნდი მშობლიურ არენაზე, საკუთარი ქომაგის წინაშე უფრო უკეთ ითამაშებს და ვიტყვებ იმედს, რომ შოტლანდიას ქულებს დააკარგინებს.

გაგის გეგა


**როგორც ვგარაუდობდი, მატჩი საინტერესოდ წარიმართა. დანაკლისი ორივე გუნდს გვექონდა, მაგრამ ფეხბურთელების გამოკლება ჩვენს გუნდს უფრო დაეტყო, ვიდრე მეტოქეს. თამაში კარგად დაიწყო, პირველი ორი ხიფათი სწორედ ჩვენმა ფეხბურთელებმა შექმნეს მეტოქის კართან, მაგრამ მერე მასპინძელთა უპირატესობა გამოიკვეთა. მოწინააღმდეგის არაერთ შეტევას გაფუძელით, მაგრამ ტაიმი უფოლოდ მაინც ვერ ჩავამთავრეთ. მეორე ნახევარში შეცვლებს მივმართე და ჩვენი გუნდიც გამოცოცხლდა, მაგრამ მატჩის ბოლოს ერთი გოლიც მივიღეთ.
- მატჩამდე აღნიშნეთ, ტონი გოლს ვერ გაგვიტანს და ფრეს მივალწევთო... პირველი სიტყვა შესარულეთ, მაგრამ ფრე ვერ გაახერხეთ...**



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინეთ კომპანია ყაზბეგი



www.pfl.ge



ქართველთა ერთ-ერთი იმპათი შეტევა

ავტორის ფოტო

რასა ვართ, ესა ვართ



- სამწუხაროდ ფრეს ვერ მივალ-
ნით, მაგრამ ურიგოდ არ გვითამა-
შია. დღეს მოედანზე 16-17 წლის
ორი ფეხბურთელი, მჭედლიძე და
ყენია მყავდა. კიდევ ერთი გვაყავს
ჭაბუკთა ნაკრებიდან, მეკარე მაკარ-
იძე. ჩემი შეცდომა ისაა, რომ ის
არ დავაყენე კარში.

- შეძლებთ შოტლანდიასთან
ქულების აღებას?

- ჯერ კიდევ შარშან ვთქვი, ევ-
როპის ჩემპიონატზე ჩვენი ჯგუფი-
დან იტალია და საფრანგეთი გა-
ვლენ-თქო. ისევ ამ აზრზე ვარ.
შოტლანდიამ თბილისში ქულები
რომ დაკარგოს, ეს იტალიასაც
ანყოფს და საფრანგეთსაც, მაგრამ
ჩვენ ჩვენი მიზანი და ჩანაფიქრი
გვაქვს, ქულათა მარაგი უნდა გავ-
ზარდოთ და 17 ოქტომბერს სწო-
რედ ამისთვის ვიბრძობებით.

აერობორტში მისული ისევ
კლავს ტომპოლერს გამოვლენა-
რაკე. ერთხელაც თქვა - შევცდი,
კარში მაკარიძე უნდა დამეყენებო-
ნა, მან ბაქოში კარგად ითამაშა. ის
კარგი მეკარე დადგება, მთავარია
სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს და
სწორედ განვითარდეს.

დავით ცაბაძე
ბანუა-თბილისი

საჩივიშვილი, უნიკო ჯორჯიანო

მთავარწიგით იტალიური "დატასპორტის" შეფასებებს და მათ კომენტარებს
იტალია - საქართველოს მატჩის მონაწილე ფეხბურთელებზე.

იტალია	საქართველო
ბუფონი - 6 : თითქმის მთელი თამა- ში უსაქმოდ იყო. ბოლოს მისი მთავა- რი მოვალეობა კარიდან ტონის მი- მართულებით მაღალი ბურთების დარტყმა იყო.	ლომანი - 4 : ორივე გაშვებული გოლი მისი "დამსახურებაა". პირველ შემთხვევაში პირლოს ჯარიმისას უშ- ნოდ წაიქცა, გროსოს კი კუთხე ვერ ჩაუკეტა.
პანუჩი - 6,5 : საკმაოდ კარგად ითამაშა ცენტრში. მისი გამოცდილე- ბა კიდევ ბევრჯერ გამოვადგება.	სიზანიშვილი - 5 : რაც შეეძლო, იტალიელი ფორვარდების შეტევებს იგერიებდა, სისწრაფე არ ჰყოფნიდა.
ოლი - 6,5 : კარგი მატჩი ჰქონდა. ბევრი ირბინა და რამდენჯერმე სცა- და სახიფათოდაც ჩაენოდებინა.	სალუშაძე - 5 : ცუდად ითამაშა, ისე- ვე როგორც მთელმა მისმა ნაკრებმა.
ბროსო - 7 : ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა და კიდევ ერთხელ და- ამტკიცა, რომ შეტევის დაგვირგვინე- ბისას მცველთა შორის საუკეთესოა.	ასათიანი - 5 : გაბედულად ვერ ითამაშა. ერთი გოლი მისი კისერზეცაა.
ბარძალი - 6 : არაფერი განსაკუთ- რებული, მაგრამ საიმედო იყო.	ცვიციანი - 6 : ერთადერთი ქართ- ველი, რომელიც ახერხებდა მასპინძელ- თა ნახევარზე თამაშის გამწვანებას.
ფოშა - 6 : ცოტა ნერვიულობდა და შეცდომებს უშვებდა.	მინთაშაშვილი - 5,5 : ის ძალიან ბევრს დარბის, მაგრამ ხშირად ტყუი- ლუბრალად.
პირლო - 6 : გოლი კი გაიტანა, მაგ- რამ ამისთვის მადლობა მეტოქის მე- კარეს უნდა უთხრას. მისთვის უჩვეუ- ლოდ ბევრი შეცდომა დაუშვა.	გაბიაშვილი - 4,5 : სუსტი იყო, მსაჯმა ერთი-ორ მომენტში დაინდო.
მაური: მხოლოდ რამდენიმე წუ- თით გამოვიდა, ამბროზინი დაასვენა.	პანკაპა - 5,5 : ბუფონს დაურტყა, რაც მხოლოდ მან მოახერხა. პირველ ტაიმში კარგი იყო, შემდეგ კი მისი თა- ნაგუნდელებისგან არ გამოირჩეოდა.
ამბროზინი - 5,5 : ბევრი იაქტიუ- რა თავიდან, შემდეგ სუსტი იყო.	კვიციანი - 5 : ხშირად იყო თა- ვისუფალი, მაგრამ ვერ უტევდა.
ბატუსო - 7 : ამ თამაშში კიდევ ერ- თხელ დაადსტურა - გატუზო შეუცვ- ლელია "აჭურისთვის".	ყინა - 6 : ბევრი იმოდრაფა, მოინდო- მა, მაგრამ ჯერ ძალიან პატარაა იმისთ- ვის, რომ ბუფონს პრობლემა შეუქმნას.
ტონი - 7,5 : გოლი არ გაუტანია, მაგრამ ქართველთა დაცვა კი დაანი- ოკა. გროსოს საგოლე პასი მისცა.	სირაძე - 5 : ტომპოლერმა ცოტა დრო გამოუყო, რომ თავი გამოეჩინა.
დი ნატალი - 6 : უბურთოდ ბევრს მოძრაობს, მაგრამ კარში ვერ ურტყამს.	ჯაკოპინი: ძალიან ცოტა ხნით ითა- მაშა. შეფასების გარეშე.
კვალარალა - 5,5 : დონადონი მას ენდობა, მაგრამ ფორვარდი ვერ ამართლებს, საგოლე მომენტებს ვერ იყენებს.	მედილინი - 5 : "ემპოლისი" ახალ- გაზრდა ფორვარდს ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი.



რობერტო დონადონი

ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადება არბენტინაში, დიეგო მარადონას საშობლოში

16, 17, 18, 19 წლის ასაკის ფეხბურთელების საყურადღებოდ!!!
მათ, ვისაც სურთ ჯერ ამაღლესი ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური
დონე არგენტინაში, და შემდეგ გარკვეული პერიოდი ითამაშონ იქაური სა-
ფეხბურთო კლუბებში, მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს გაემგზავრობიან
არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში. ფეხბურთელებს მოამზადებს წარ-
სულში ცნობილი ფეხბურთელი და ამჟამად მწვრთნელი ედუარდო დელგადო.
მომზადების პერიოდი 6 თვიდან ერთ წლამდეა. ამ პერიოდში ფეხბურთე-
ლებს ექნებათ ამხანაგური თამაშები, რომლის დროსაც მათზე მოხდება დაკ-
ვირება. სრულყოფილი მომზადების შემდეგ, ედუარდო დელგადო ფეხბურ-
თელებს წარადგენს არგენტინის კლუბებში, სადაც გააგრძელებენ ოფიცია-
ლურ თამაშებს.
არგენტინის მხარე მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს. ასევე, არ-
გენტინის ვიზების, მგზავრობის, მომზადებისა და ადგილზე ცხოვრების ხარ-
ჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.
დანერვილებითი ცნობებისთვის მოპრძანდით არგენტინის წარმომადგე-
ნელთან მიმდინარე წლის 25 ოქტომბრამდე, მისამართზე: ლეონიძის ქ №4 (ყო-
ფილი კიროვის ქუჩა თავისუფლების მოედანთან), ეროვნული ბანკის მოპირ-
დაპირედ.
გასაუბრებისთვის მსურველები წინასწარ უნდა ჩაენერონ არგენტინის
წარმომადგენელთან, შემდეგ ტელეფონზე: 899 23 55 20.



დიეგო მარადონა და ედუარდო დელგადო

რა თქვენს ბუფონზე: საქართველოსთან შეიქლო უნაკა, უბლაკა ან ბავუვი აკეთებინა

იტალიურმა მედიამ იუმორითა და
ირონიით გაათხზა "სკუადრა აჭურის"
თავკაცი რობერტო დონადონი, მიუხე-
დავად საქართველოსთან მოპოვებული
სამი ქულისა. დონადონის გასაკრიტი-
კებლად რამდენიმე ანდაზა თუ იდიომა
მოიშველიეს იტალიელმა კალმოსანმა
ჟურნალისტებმა.
იტალია უკმაყოფილოა იმით, რომ დო-
ნადონის ნაკრებმა ძალიან ფრთხილად ითა-
მაშა გუნდთან, რომელსაც ფარერების გარ-
და მხოლოდ ერთი ქულა აქვს მოხვეჭილი.
დონადონის იტალია არ ჰგავს
გუნდს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი-
ა. იქაური პრესა იმასაც დასძენს, რომ
ამ შემადგენლობით მათ გუნდს კარგი
დღე არ უწერია. საქართველოს ნაკრებ-
ზე კი ბევრს არაფერს წერენ.
ერთ-ერთმა იტალიურმა გამოცემამ
კი სათითაოდ დაახასიათა "აჭურის"
ფეხბურთელები საქართველოსთან
მატჩის შემდეგ. იტალიელთა მეკარე
ჯანლუიჯი ბუფონს კი ასეთი დახასია-
თება ერგო:
- მას შეეძლო დაენერა რომანი, ჩაენ-
რა ალბომი, გაეკეთებინა ბავუვები და გა-
მოეცხო ლაზანია (იტალიური კერძი-დ.თ.)
ის ბურთის ფაქტობრივად სამჯერ შეეხო.

დავით თაყაიშვილი



ჩალსი. ტრანსფერები


ლეგენდარი რეალში? სავსებით რეალურია...

ვის არის არისტოკრატების მთავარი მწვერთელის ასისტენტი?

“რეალს” ფრენკ ლემპარდის შექმნა სურს. ამ ინფორმაციას გუშინდელი “ასი” ავრცელებს. სტატიაში ვკითხულობთ, რომ ლონდონელ ნახევარმცველს მთავარი მწვერთელმა ბერნდ შუსტერმა დაადგა თვალი. სპორტულმა დირექტორმა პედია მიატოვი...

“ნიუს ოფ ზე უორლდი” თენ კეიტის ყოფილი კლუბის, არნემის “ვიტისის” პრეზიდენტი ჩარლზ ოლბერსს დაუკავშირდა. მან მიმოხილველს საინტერესო ამბავი გაანდო: “ის (თენ კეიტი) 1998 წელს დავითხოვე. რატომ? იმიტომ, რომ სხვა გზა არ მქონდა. მას ფეხბურთელებთან საშინელი ურთიერთობა ჰქონდა. ყოველ დღე ვილატას ეკამათებოდა ან ეჩხუბებოდა. არ უარყოფ, ის შენსიშნავი მწვერთელია. ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესოც კი თანამედროვე საფეხბურთო სამყაროში, მაგრამ ამავე დროს, თენ კეიტი გულკანია, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება ამოიფრქვეს.”

რადი იხსენებს: “უძიძიძე სეზონი იყო. თენ კეიტს გაუთავებელი უთანხმოება ჰქონდა ტექნიკურ დირექტორ კორ ბლოკსა და ფიზიომომზადების მწვერთელ იან ლუქსთან. დაიბუღებდა ატმოსფერო ლუქსს ნევროზი დამართა. მას ფსიქიატრი მივამაგრეთ. საბრალო ლუქსი თენ კეიტის წასვლიდან ორი წლის შემდეგაც ნერვულ აშლილობას უჩიოდა.” “ბრედის” ნახევარმცველმა ჯეფრი ვან ასმა თქვა: “მინდორზე თენ კეიტზე უკეთეს მწვერთელს ვერ ნახავთ, მაგრამ მინდორის მიღმა ყოველად აუტანელია. მასხოვს, ერთხელ ჟურნალისტს ვუთხარი, მწვერთელს თანამშენებთან უთანხმოება აქვს-თქო. მეორე დღეს გასახდელში შემოვიდა, გაზეთი, რომელშიც ჩემი ინტერვიუ ენერ სახეში მესრულია და მითხრა, გააჯ... და იმ შენს ძმაცკთან ერთად ივარჯიშეო.”



ფრენკ ლემპარდი

Table with 2 columns: Team names and scores. Includes categories like 'I ლიგა' and 'II ლიგა'.

Table with 2 columns: Team names and scores. Includes categories like 'სერია B' and 'სერია C1/A'.

Table with 2 columns: Team names and scores. Includes categories like 'I ლიგა' and 'II ლიგა'.

Table with 2 columns: Team names and scores. Includes categories like 'სერია C1/B' and 'ლიგა'.

Table with 2 columns: Team names and scores. Includes category 'II დივიზიონი'.

Table with 2 columns: Team names and scores. Includes category 'II დივიზიონი'.

Table with 2 columns: Team names and scores. Includes category 'II დივიზიონი'.

Table with 2 columns: Team names and scores. Includes category 'II დივიზიონი'.

Table with 2 columns: Team names and scores. Includes category 'II დივიზიონი'.

Table with 2 columns: Team names and scores. Includes category 'II დივიზიონი'.

Table with 2 columns: Team names and scores. Includes category 'II დივიზიონი'.

Table with 2 columns: Team names and scores. Includes category 'II დივიზიონი'.

Table with 2 columns: Team names and scores. Includes category 'II დივიზიონი'.

Table with 2 columns: Team names and scores. Includes category 'II დივიზიონი'.

“რეალში” ჩაირიცხება, ჩემპიონთა ლიგაში ვერ ითამაშებს, რადგან წელს ამ ტურნირში “ჩელსის” მასიურით ითამაშა. ლემპარდი კიდევ ერთ ევროპულ გრანდს სურს. მასზე ტურინის “იუვენტუსსაც” უჭირავს თვალი. ტურინელთა დამრიგებელი ის კლაუდიო რანიერი, რომელიც ფრენკს “ჩელსიში” წვრთნიდა. უფრო მეტიც, 2001 წელს “ვესტ ჰემის” ნახევარმცველს სწორედ იტალიელმა გაუფორმა კონტრაქტი. მის სანაცვლოდ 11 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. განვიღო ექვს სეზონში ლემპარდმა “არისტოკრატების” შემადგენლობაში 227 მატჩი ჩატარა და 64 გოლი შეაგდო. “ასის” ცნობით, ფეხბურთელის შექმნა 18 მილიონ ევროდ შეიძლება. ფიფას სატრანსფერო კანონმდებლობით თუ ვიმსჯელებთ, რაკი ლემპარდი 28 წელსაა გადაცილებული, კლუბში ხუთ წელიწადზე მეტი აქვს გატარებული და კონტრაქტი ორზე ნაკლები წელი რჩება (ხელშეკრულება 2009 წლის ივნისში უმთავრდება), შეუძლია, საკუთარი კონტრაქტი 12 მილიონ ევროდ გამოისყიდოს. გაისად ზაფხულს კი უკვე 9 მილიონი ევრო ეღირება. ინგლისელ მიმოხილველებს ლემპარდის აბარება სავესბით რეალური ჰგონიათ.

“ჩელსიზე” საუბარს მისი ახალი მეორე მწვერთელი გაგვარძლებთ. “აიასის” ყოფილმა თავკაცმა პენკ თენ კეიტმა, ეს-ესაა, ხელშეკრულება გააფორმა. მან მთავარი მწვერთელის ასისტენტისათვის უზრეველდენტოდ მაღალი ხელფასი, წელიწადში 2.5 მილიონი გირვანქა დაიბევა. ყოველ შემთხვევაში, ზუსტად ამ თანხას ასახელებენ ინგლისური სააგენტოები. ისინი, ვისაც თენ კეიტთან უმუშავია, ამბობენ, რომ მას ძალიან მძიმე ხასიათი აქვს. მისტერ პენკი ცერემონიებს არად დაგიდევთ. ის ქვეშევრდომებს საკმაოდ უხეშად ექცევა. “ჩელსის” ბოსი რომან აბრამოვიჩი გააფრთხილეს კიდევ, მოურინოს კაპრიზები, შეიძლება, მონაგონი აღმოჩნდეს. პოლანდიელმა ლონდონში ჩასვლისთანავე უხმეკი კომენტარი გააკეთა: “გუნდში იმისთვის არ მომიწევს, რომ ბევრი მეგობარი შევიძინო. აქ იმიტომ ვარ, რომ “ჩელსიში” თამაშები მოიგოს. თამაშების მოსაგებად შესაძლებლობის ზღვარზე თამაშია საჭირო. მე ჩემი ფეხბურთელებისაგან აუცილებლად მაქსიმუმს მოვიტხოვ.”

“ვალენსიას” განზრახული აქვს, იანგრის ტრანსფერებისას ჟილბერტო სილვა შეიძინოს. ბრაზილიელი ნახევარმცველი “არსენალის” კაპიტანია, მაგრამ ბოლო დროს ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება. არსენ ვენგერი მას ახალგაზრდა საყრდენ ნახევარმცველებს ამჯობინებს. ჟილბერტო არ მალავს, თუ მდგომარეობა არ შეიცვლება, სხვა სამსახურს მივაპყრებო. ესპანური სააგენტოების ცნობით, ლამურები 7 მილიონ გირვანქას ამზადებენ. მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარები არ გაკეთებულა.

რუსი მილიარდერი ალიშერ უსმანოვი “არსენალის” დაუფლებების იმედს არ კარგავს. “სანის” ცნობით, მიზნის მისაღწევად ის არცთუ ტრივიალურ მეთოდს ირჩევს. უსმანოვმა “არსენალის” გარდაცვლილი აქციონერების ქაღალდებს დაადგა თვალი. მისი ჩანაფიქრი ასეთია: გარდაცვლილთა ოჯახის წევრი არ იქნება კლუბის ისეთივე ერთგული ფანები და სარფიანი წინადადების შემთხვევაში, გარიყვიან და დაიბნევიან.

ვევაში, გარიყვიანზეც იოლად ნამოვლენ. ამგვარად უსმანოვს საშუალება ეძლევა, კლუბის კიდევ 1 პროცენტს დაუფლოს და საკუთარი წილი 24 პროცენტამდე გაზარდოს. 25 პროცენტამდე ერთი ნაბიჯი დარჩება. 25 პროცენტის წილი კი იმას ნიშნავს, რომ მისი მფლობელი კლუბის დირექტორატში საკუთარ წარმომადგენელს შეიყვანს, თანაც ვეტოს უფლებით. ამის შემდეგ “არსენალის” სხვა აქციონერს მოუწევთ, თითოეული გადაწყვეტილება რუს ოლიგარქთან შეთანხმონ. “მეთოფეთა” ერთი აქცია 15 ათასი გირვანქა ღირს.

გარიყვიანზეც იოლად ნამოვლენ. ამგვარად უსმანოვს საშუალება ეძლევა, კლუბის კიდევ 1 პროცენტს დაუფლოს და საკუთარი წილი 24 პროცენტამდე გაზარდოს. 25 პროცენტამდე ერთი ნაბიჯი დარჩება. 25 პროცენტის წილი კი იმას ნიშნავს, რომ მისი მფლობელი კლუბის დირექტორატში საკუთარ წარმომადგენელს შეიყვანს, თანაც ვეტოს უფლებით. ამის შემდეგ “არსენალის” სხვა აქციონერს მოუწევთ, თითოეული გადაწყვეტილება რუს ოლიგარქთან შეთანხმონ. “მეთოფეთა” ერთი აქცია 15 ათასი გირვანქა ღირს.

